საქსტატი

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს სოფლის მეურნეობა

# 2021

## I კვარტალი

## (წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)



17.05.2021

www.geostat.ge

17.05.2021

## საქართველოს სოფლის მეურნეობა
## 2021 წლის I კვარტალი
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის I კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.4 პროცენტით გაიზარდა და 1.0 მილიონი სული შეადგინა. აქედან, ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 468.5 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.5 პროცენტით მეტია.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.5 პროცენტით შემცირდა და 1.0 მილიონი სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 174.7 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 3.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.4 პროცენტით გაიზარდა და 11.3 მილიონი ფრთას მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2016-2021 წლების I კვარტალის ბოლოსათვის.

### მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2016-2021 წლების I კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)




*წინასწარი მონაცემები.

**ცხვრისა და თხის სულადობა 2016-2021 წლების I კვარტალის ბოლოსათვის**
(ათასი სული)




*წინასწარი მონაცემები.

**ღორის სულადობა 2016-2021 წლების I კვარტალის ბოლოსათვის**
(ათასი სული)




*წინასწარი მონაცემები.

**ფრინველის რაოდენობა 2016-2021 წლების I კვარტალის ბოლოსათვის**
(ათასი ფრთა)




*წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის I კვარტალში რძის წარმოებამ 115.3 მილიონი ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.8 პროცენტით მეტია.

ხორცის წარმოებამ 15.8 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.5 პროცენტით ნაკლებია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 171.4 მილიონი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.9 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2016-2021 წლების I კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა:

## რძის წარმოება 2016-2021 წლების I კვარტალში
(მლნ. ლიტრი)




*წინასწარი მონაცემები.

## ხორცის წარმოება 2016-2021 წლების I კვარტალში
(ათასი ტონა)




*წინასწარი მონაცემები.

**კვერცხის წარმოება 2016-2021 წლების I კვარტალში**
(მლნ. ცალი)




*წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ექსპორტ-იმპორტის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები 2020-2021 წლების კვარტალების მიხედვით:

**პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2020-2021 წლებში კვარტალის ბოლოსათვის**
(ათასი სული)

| | 2020* | | | | 2021* |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 973.5 | 1 003.2 | 955.0 | 923.1 | 1 015.9 |
| აქედან ფური და ფურკამეჩი | 461.4 | 471.2 | 453.8 | 449.2 | 468.5 |
| ღორი | 168.3 | 205.4 | 237.2 | 155.2 | 174.7 |
| ცხვარი და თხა | 1 095.6 | 984.2 | 846.1 | 793.0 | 1 046.1 |
| ფრინველი (ათასი ფრთა) | 10 263.2 | 12 490.2 | 11 502.8 | 9 906.9 | 11 330.7 |

*წინასწარი მონაცემები.

17.05.2021

## ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2020-2021 წლებში

(ათასი სული)

| | 2020* | | | | 2021* |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 16.2 | 2.4 | 27.1 | 29.3 | 16.1 |
| ღორი | - | - | - | - | - |
| ცხვარი და თხა | 8.7 | 6.8 | 73.2 | 105.4 | 26.3 |
| ფრინველი (ათასი ფრთა) | 1 722.6 | 1 634.8 | 1 355.1 | 985.5 | 699.0 |

*წინასწარი მონაცემები.

## ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2020-2021 წლებში

(ათასი სული)

| | 2020* | | | | 2021* |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 0.7 | 0.2 | 0.2 | 0.3 | 0.2 |
| ღორი | 7.8 | 11.2 | 17.4 | 19.6 | 10.2 |
| ცხვარი და თხა | 4.8 | - | - | - | - |
| ფრინველი (ათასი ფრთა) | 1 752.2 | 1 056.1 | 1 317.7 | 1 383.3 | 1 287.5 |

*წინასწარი მონაცემები.

## მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2020-2021 წლებში

| | 2020* | | | | 2021* |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. | I კვ. |
| ხორცი (ათასი ტონა) | 16.2 | 16.3 | 14.7 | 22.2 | 15.8 |
| რძე (მლნ. ლიტრი) | 107.0 | 197.4 | 168.4 | 99.7 | 115.3 |
| კვერცხი (მლნ. ცალი) | 160.4 | 167.5 | 154.8 | 162.6 | 171.4 |

*წინასწარი მონაცემები.

17.05.2021

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

**გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:**

- მოვლენა არ არსებობს.

**2020 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის 15 ივნისს.**

**2021 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის 15 ივნისს.**

**საკონტაქტო პირები:**
გიორგი სანაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge